2. სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი

2.1. სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2.2. სადისერტაციო საბჭო შედგება 5 დარგობრივი სექციისაგან, რომელებშიც ერთიანდებიან საბჭოს წევრი შესაბამისი დარგის სპეციალისტები.
2.3. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე, სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების, სულ მცირე, 2/3. გადაწყვეტილებები მიიღება ფარული ან ღია კენჭისყრით, საბჭოს წინასწარი თანხმობის საფუძველზე.
2.4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.
2.5. სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს (საბჭოს შემადგენლობიდან) 3 წლის ვადით
2.6. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში საბჭოს უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.
2.7. საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.
2.8. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
2.9. სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორანტს უნდა ეცნობოს წერილობით.